I მარტი

დიდმარხვის I კვირადღე

2009

კვირა

დაბ. 9, 8-15; ფს. 24; I პეტრ. 3, 18-22; მარკ. I, 12-15 I ი

აღსრულდა ჟამი და მოახლოვდა ღვთის სასუფეველი. (მარკ. I, 15)

გვსურს, მედგარი და გულუხვი სულისკვეთებით
შევუდგეთ დიდმარხვის ახალ გზას.
იესოსთან ერთად უდაბნოში ვიქნებით,
მხოლოდ მამა ღმერთის,
მისი სიყვარულის, მისი ნების ძიებაში.
შემდეგ იესოსთან ერთად
შევძლებთ განვაცხადოთ: „აღსრულდა ჟამი
და მოახლოვდა ღვთის სასუფეველი“,
ანუ შეგვეძლება ჩვენს ძმებს მოვუტანოთ
ღვთის სიყარული, რაც სიცოცხლის სისრულე,
ჟამის, ყოველი მოლოდინის, აღსრულებაა.

2 მარტი

2009 ორშაბათი

ლევ. 19, 1-2.11-18; ფს. 18; მათ. 25, 31-46 I ი

„წმიდა იყავით“ (ლევ. 19, 2)

დიდმარხვის დასაწყისში უფალი მოგვიხმობს: „წმიდა იყავით“. ეს ჩვენი მამა გველაპარაკება, მაშასადამე, არ გვეშინია; წმიდად ყოფნა, არ არის რაიმე „უცნაური“, განსაკუთრებულ ადამიანთათვის განსაზღვრული: ეს უბრალოდ ჩვენს ცხოვრებაში მისი სიცოცხლის, ანუ, სიყვარულის, მიღებაა. მაშასადამე, ამ წმიდა ყამს ხელახლა, სიხარულით ვიშვებით, როგორც ღვთის შვილნი!

3 მარტი

2009 სამშაბათი

ეს. 55, 10-11; ფს. 33; მათ. 6, 7-15 I ი

**თქვენმა მამამ იცის,
რა გიჭირთ თქვენ.** (მათ. 6, 8)

დიდმარხვის ამ ჟამს შევეცდები,
მთელი ყურადღება მხოლოდ
საკუთარ საჭიროებებს არ მივაპყრო.
ჩემმა მამამ იცის: შევეცდები,
ყველაფერი მშვიდად და რწმენით მივიღო
და ყურადღებით ვიქნები, რათა ჩემი გული
მისკენ მიეპყროს და სახეცვლის, მიტევებისა
და განახლებისადმი განეწყოს.

4 მარტი

2009 ოთხშაბათი

იონა. 3, 1-10; ფს 50; ლუკ. 11, 29-32 I ი

**დააგდონ ბოროტების გზა
და ყველა ავი საქმე, რაშიც კი
ხელი აქვთ გარეული.** (იონ. 3, 8)

როგორ მოხდა, რომ მთელი ქალაქი ნინევე
მოექცა? ეს იმიტომ მოხდა, რომ თითოეულმა
ადამიანმა პიროვნულად გადადგა ეს ნაბიჯი.
როგორც უფალს ვუყვარვართ თითეული
ცალ-ცალკე, პიროვნულად, მისდამი ჩვენი
პასუხიც პიროვნული უნდა იყოს.

ნუ დაველოდებით იმას, რომ „ყველა" მოექცეს.
ამგვარად, მე ვიწყებ, შენც გადაწყვეტ...
და შემდეგ დიადი ამბების მომსწრენი გავხდებით!

5 მარტი

2009 ხუთშაბათი

ესტ. 4, 1.3-6.12-14; ფს. 137; მათ. 7, 7-12 I ი

ვინც რეკავს, გაეღება. (მათ. 7, 8)

დღეს იესო გვარწმუნებს, რომ რწმენით
გამსჭვალული და მონდომებული ლოცვა
უყურადღებოდ არ დარჩება:
მართლაც, ღმერთი ჩვენი მოსიყვარულე მამაა.
შვილების ხმა, ცრემლი, მოხმობა
მუდამ აღბობს მის გულს.
მაშ, ნდობით და განუწყვეტლივ მივმართოთ მას,
განსაკუთრებით, დიდმარხვის ამ პერიოდში:
მის წინაშე ყველანი გაჭირვებულნი ვართ.
მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მამაღმერთის
თანაგრძნობის ყველაზე მშვენიერი და ძვირფასი
პასუხი მისი სულიწმიდის ნიჭია.

6 მარტი

ცხრა ყრმა კოლაელნი, წამებულნი (VIს.) (ნ.მ.)

2009 პარასკევი

ეზეკ. 18, 21-28; ფს. 129; მათ 5, 20-26 I ი

წადი, შენს ძმას შეურიგდი. (მათ. 5, 24)

იესომ, ერთადერთმა უდანაშაულომ,
სიცოცხლე შესწირა, იტანჯა
და სიკვდილი მიიღო, რათა ყველანი
მამა ღმერთთან შევერიგებინეთ.
მაშ, როგორ შემიძლია,
არ ვეცადო ჩემს ძმებთან —
ჩემნაირ ცოდვილებთან, შერიგებას?

7 მარტი

წმ. პერპეტუა და ფელიციტა (ნ.მ.)

2009 შაბათი

რჯლ. 26, 16-19; ფს 118; მათ 5, 43-48 I ი

გიყვარდეთ თქვენი მტრები (მათ. 5, 44)

ხშირად, ჩემდაუნებურად, ოჯახისთვის ვარ
ტვირთი: ჩემი ხასიათით, ჯერაც რომ ვერ
გამოვასწორე; ჩემი ავადმყოფობით, რახანია
რომ მაწუხებს; ჩემი მრავალრიცხოვანი
ნაკლოვანებებით... ჩემიანებს,
იესოს სიყვარულით, კვლავაც ვუყვარვარ.
ვფიქრობ, მათთვის ეს ტანჯვის მომტანი
„მტრის“ სიყვარულის მსგავსია...
გმადლობ, იესო, რადგანაც, ვინც შენ
გემორჩილება, ძმათათვის სიცოცხლის წყაროა
და, უეჭველად, შენს საკადრის საზღაურს
მიიღებს, ზეცისა და მიწის უფალო

8 მარტი

დიდმარხვის II კვირადღე

2009

კვირა

დაბ. 22, 1-2.9.10-13.15-18; ფს. 115; რომ. 8, 31-34; მათ. 9, 2-10

II ი

ფერი იცვალა მათ წინაშე. (მათ. 9, 2)

იესო, იმ დღეს მთაზე მამა ღმერთმა
შენს სამ მოწაფეს დიდი ნიშანი უბოძა:
მათ დიდებაში გიხილეს შენ, ღვთის ძის
შენი ბუნების სხივოსან ბრწყინვალებაში.
გმადლობთ, მამაო, რომ ჩვენს ცხოვრებაშიც
დამალე ნიშნები იმისა, რომ იესო ნამდვი-
ლად შენი ძეა, რადგანაც მისი მიღებით შენს
მოწონებას ვიმსახურებთ. ერთგულებითა და
სიხარულით შეინახე მისდამი ჩვენი რწმე-
ნა გამოცდის ჟამსაც, როდესაც ის გვთხოვს,
სიყვარულით ვიტვირთოთ ჯვარი.

9 მარტი

2009 ორშაბათი

დან. 9, 4-10; ფს. 78; ლუკ. 6, 36-38 II ი

ყურს არ ვუგდებდით უფლის, ჩვენი ღმერთის, ხმას. (დან. 9,10)

უფლის ხმამ მრავალჯერ მოგვიხმო
გულმოწყალების, თავმდაბლობის,
მოთმინების მკირე, შესაძლოა,
დაფარული გამოხატულებებისკენ.
რა თქმა უნდა, შეგვიძლია გავითავისოთ
აღსარება: ,,ყურს არ ვუგდებდით უფალს“
და ღატაკნი წარვსდგეთ მამის წინაშე:
ის ელის თავმდაბლობის ამ გამოვლინებას,
რათა შეძლოს ჩვენი დახმარება,
რათა ხელახლა შეგვმოსოს
თავისი მადლით.

10 მარტი

2009 საშაბათი

ეს. I, 10.16-20; ფს. 49; მათ. 23, 1-12 II ი

ისწავლეთ სიკეთის ქმნა. (ეს. I, 17)

უფალო იესო, შენი სიყვარულის წყალობით,
ჩვენ, ქრისტიანები, ღვთის შვილნი ვართ. ამგვა-
რად, როდესაც „სამყარო“ სხვადასხვა, მუდამ
ახალ, განსხვავებულ შემეცნებათა
მეშვეობით ცდილობს ზრდას,
ჩვენ არ შეგვიძლია იმის დავიწყება,
რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ვისწავლოთ
ჩვენი მამის „ცხოვრება“, სიყვარული.
შენი მადლის წყალობით გვსურს,
ვისწავლოთ მიტევება, გულუხვობა,
ნუგეშისცემა, ძმათა გაგება,
ჩვენი სიცოცხლის გაცემა...
ყველა მეცნიერება გარდავა,
სიყვარული კი არასოდეს დასრულდება!

II მარტი

2009 ოთხშაბათი

იერემ. 18, 18-20; ფს. 30; მათ. 20, 17-28 II ი

მიაგებენ კი კეთილის წილ ბოროტს? (იერემ. 18, 20)

გვსურს, მედგარი და გულუხვი სულისკვეთებით შევუდგეთ დიდმარხვის ახალ გზას. იესოსთან ერთად უდაბნოში ვიქნებით, მხოლოდ მამა ღმერთის, მისი სიყვარულის, მისი ნების ძიებაში.

შემდეგ იესოსთან ერთად შევძლებთ განვაცხადოთ: „აღსრულდა ჟამი და მოხლოვდა ღვთის სასუფეველი", ანუ შეგვეძლება ჩვენს ძმებს მოვუტანოთ ღვთის სიყარული, რაც სიცოცხლის სისრულე, ჟამის, ყოველი მოლოდინის, აღსრულებაა.

12 მარტი

2009 ხუთშაბათი

ირემ. 17, 5-10; ფს, 1; ლუკ. 16, 19-31 II ი

კურთხეულია კაცი, რომელიც უფალზეა დანდობილი. (იერემ. 17, 7)

ვინმეს ბრალეულობის გარეშე, დიდი გაუგებრობა მოხდა: თითქოს სამუდამოდ დაიკარგა ყოველ-გვარი ჰარმონია, თანაზიარების სიხარული... სრულიად უძლურად ვგრძნობდი თავს, მხოლოდ ტირილი შემეძლო... მაგრამ ის დრო იყო, რომელსაც ჩვეულებრივ, ლოცვას ვუთმობდი... ფსალმუნების წარმოთქ-მა დავიწყე: მაშინვე ნათელი გამოჩნდა, უფლის ნათელთან ერთად კი – ჩემს ძმასთან მშვიდობის დამყარების გზაც.

შენ ხარ, უფალო, შენს ღატაკთა შეწევნა!

13 მარტი

2009 პარასკევი

დაბ. 37, 3-4.12-13.17-28; ფს. 104; მათ. 21, 33-43.45 II ი

ჩემი ძისა მოერიდებათო. (მათ. 21, 37)

მამა ღმერთის ეს იმედი თითქოს მოულოდნელი აღმოჩნდა არა მხოლოდ იესოსდროინდელი რელიგიურ მოღვაწეთა, არამედ, უფრო მეტად – მესამე ათასწლეულის ადამიანთათვის. რამდენი შეურაცხყოფა მესმის იმ ღვთის ძის მისამართით, რომელმაც, თავისი მსხვერპლშეწირვით, სამყაროს ხსნა მოუტანა...
კეთილო მამაო, ჩემი სიღატაკის მიუხედავად,
ჩემს თავს გიძღვნი სამაგიეროდ
და შენი ძის, იესოს –
შენი სიყვარულის სისრულის –
პატივსაცემად.

14 მარტი

2009 შაბათი

მიქ. 7, 14-15.18-20; ფს. 102; ლუკ. 15, 1-3.11-32 II ი

შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ.

(ლუკ. 15, 31)

უფროსი ძის ჩივილის მიზეზი ისაა,
რომ წლების მანძილზე „მორჩილად“ იცხოვრა
თავისი მამის სახლში ისე, რომ ვერ მიხვდა,
რომ ეს დიდი ნიჭია. მამის სახლში მან
იცხოვრა არა როგორც შვილმა,
არამედ როგორც მსახურმა,
რომელიც ვალდებულია, იმსახუროს.
ის ვერ მიხვდა, რომ ყველაფერი,
რასაც აკეთებდა, შეიძლებოდა ყოფილიყო
მადლობა მის მიერ განცდილი მამა ღმერთის
სიყვარულისა და მასთან სიახლოვისთვის!
შენ კი მიხვდი ამას?

15 მარტი

დიდმარხვის III კვირადღე

2009

კვირა

ეს. 20, 1-17; ფს. 18; I კორ. 1, 22-25; იოან. 2, 13-25 III ი

შენი სახლის შური შემჭამს მე

(იოან. 2, 17)

უფალო იესო, შენ იცნობდი ღვთის ნამდვილ სახეს, იცოდი, რომ ღმერთი თავისი შვილების მოსიყვარულე მამაა, რომელსაც მათთვის უანგაროდ სურს ხსნის ბოძება, შენი მეშვეობით. შენ ვერ დაუშვებდი იმას, რომ მამა ღმერთის სახე სწორედ ტაძარში, ხალხის სულიერ მოძღვრებს დაეფარათ, არასწორად წარმოედგინათ. მესმის, იესო, რომ „შენი მამის სახლზე" ზრუნვა მამა ღმერთისადმი შენი სიყვარული, ჩემდამი შენი სიყვარულია. გეთაყვანები და გმადლობ, უფალო იესო!

16 მარტი

2009 ორშაბათი

4 მეფ. 5, 1-15; ფს. 41-42; ლუკ. 4, 24-30 III ი

იბანე და განიწმიდები. (4 მეფ. 5, 13)

ლიტურგიის მიერ შემოთავაზებული ძველი
აღთქმის მშვენიერი ამბავი დღესაც
გვასწავლის: ჩვენს იარათა და სისუსტეთა
წამალი არ მოდის ჩვენგან, თუნდაც მძიმე
მსხვერპლიდან, რომლის გაღებასაც
ვაიძულებთ თავს; ის მოდის თავმდაბალი
მორჩილებიდან მათდამი, ვისაც უფალი
გვიგზავნის, როგორც თავისი ნებისა და
მადლის მსახურებს და იმ ძმათაგან,
რომლებიც გვყავს გარშემო
წინასწარმეტყველი უფლის ნებით.

17 მარტი

2009 სამშაბათი

დან. 3, 25.34-43; ფს. 24; მათ. 18, 21-35 III ი

სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო. (მათ. 18, 29)

როდესაც ძმა მოგვმართავს,
რათა სიყვარული, დახმარება, თანაზიარება
ან პატიება მიიღოს ჩვენგან,
გვახსოვდეს, რომ მხოლოდ
იმ გულმოწყალებისთვის ვცოცხლობთ,
რომელსაც მუდმივად გვაძლევს მამა ღმერთი.
დიდი სიხარულია, შეგვეძლოს,
მას ვემსგავსოთ: ვერცერთი სხვა საქმე
ვერ მოგვცემს ჩვენი დროისა და ძალების
უკეთ გამოყენების შესაძლებლობას.

18 მარტი

2009 ოთხშაბათი

რვჯლ. 4, 1.5-9; ფს. 147; მათ. 5, 17-19 III ი

გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი. (მათ. 5, 17)

იესო ესაუბრებოდა მოწაფეებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ მოსეს და წინასწარმეტყველთა მეშვეობით მიღებული ღვთის მითითებები. იესო არ აუქმებს იმ მითითებებს, არამედ „ასრულებს“ მათ, ანუ აღრმავებს, „ამახვილებს“ მათ უსაზღვრო სიყვარულის შუქზე, ისე, რომ თითოეულმა მცნებამ ღვთის ჭეშმარიტი ნება შეასრულოს, რაც სწორედ მისდამი და ყოველი ადამიანისადმი სიყვარულია.

19 მარტი

2009

წმ.იოსები,
ღვთისმშობლის მეუღლე (დდ)

კუთშაბათი

4 მეფ. 7, 4-5.12-14.16; ფს. 88; რომ. 4, 13.16-18.22;
მათ 1, 16.18-21.24; ს თ

არლის ეკლესიის დღესასწაული

ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამის, მიღება. (მათ. 1, 20)

წმიდა იოსებ, უწმიდესი მარიამის მეუღლევ
და მთელი ეკლესიის მფარველო,
ითხოვე ჩემთვის, შენი მდაბალი შვილისთვის,
შენის მსგავსი გული;
გული, რომელიც მუდამ ყურადღებით
უსმენს მამას და მის ნებას,
მზადაა, სიცოცხლე უძღვნას მას
მისი სიყვარულის განსახორციელებლად,
შვილის გული, რომელიც მხოლოდ
მისგან ელის ხსნას და მშვიდობას.

20 მარტი

2009 პარასკევი

ოს. 14, 2-10; ფს. 80; მათ. 12, 28-34 III ი

სწორია უფლის გზები. (ოს. 14, 10)

გმადლობ, უფალო იესო,
იმისათვის, რომ ჩვენ, ცოდვილთ,
შენი სწორი გზებით სვლის
შესაძლებლობას გვიბოძებ.
რამდენჯერ გამაგონე ჩემს გულში შენი ხმა,
ხმა, რომელიც მიხმობდა პატიების,
თავმდაბლობის, კეთილგანწყობის,
მამა ღვთისადმი მინდობისკენ...
ზოგჯერ ვუსმინე შენს ხმას,
უარი ვთქვი საკუთარ ეგოიზმზე:
ვიარე შენი წმიდა და ნათელი გზით.
ეს შენი ნიჭი იყო, უფალო იესო!

21 მარტი

2009 შაბათი

ოს. 6, 1-6; ფს. 50; ლუკ. 18, 9-14 III ი

წყალობა მინდა
და არა მსხვერპლი. (ოს. 6, 6)

ვეცადოთ, ჭეშმარიტად ქრისტიანული
სულისკვეთებით განვიცადოთ ხორცის
მოკვდინების ვალდებულებები,
რომლებიც ერთობლივად და პიროვნულად
ავიღეთ დიდიმარხვის დასაწყისში.
არ დავუშვათ მათი გადაქცევა ზედაპირულ,
სიამაყის აღმძვრელ ქმედებებად.
დაე, ყველა ჩვენ ქმედებას საფუძვლად ედოს
სიყვარული, მადლიერება, უფალთან
და ძმებთან თანაზიარებით ზრდა.

22 მარტი

დიდმარხვის V კვირადღე

2009

კვირა

2 კორ. 36, 14-16.19-23; ფს. 136; ეფეს. 2, 4-10; იოან. 3, 14-21 IV ი

ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის. (იოან. 3, 21)

წმიდა აღდგომის დღესასწაული ახლოვდება: ამ დღეს ყველანი ჩვენ, იესოს მოწაფეები, მზერას მივაპყრობთ ჩვენი უფლისა და მხსნელის გასაოცარ შუქს, რომელიც ბნელსა და სიკდილს სძლევს.

მაშ, ვიჩქაროთ, სიყვარულითა და სიმართლით ვიცხოვროთ და მტკიცედ დავთრგუნოთ ჩვენში ყოველივე ამქვეყნიური: დიდი სიხარულითა და რწმენით მივუახლოვდებით მკვდრეთით აღმდგარ იესოს, მთელი გულით მივიღებთ მას!

23 მარტი

2009 ორშაბათი

ეს. 65, 17-21; ფს. 29; იოან. 4, 43-54 IV ი

„არ ირწმუნებთ, თუკი ნიშნებსა და სასწაულებს არ იხილავთ“ (იოან. 4, 48)

იესოს ეს პასუხი ცენტურიონისადმი, რომელიც სთხოვდა მას, შვილის მოსარჩენად გაჰყოლოდა, არის პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ ახდენდა (და ახდენს) იესო სასწაულებს და იძლევა ნიშნებს: თავის რწმენასთან ადამიანთა მისაყვანად; ანუ, რათა დაგვეხმაროს, მისდამი ნდობა ვიქონიოთ, რათა გაგვაგებინოს, რომ მხოლოდ მასში ვპოვებთ ახალ და სრულ სიცოცხლეს.

... და ამის გაკეთება არასოდესაა გვიან!

24 მარტი

2009 სამშაბათი

ეზეკ. 47, 1-9.12; ფს. 45; იოან. 5, 1-3.5-16 IV ი

„გინდა, განიკურნო?“ (იოან. 5, 6)

უფალო იესო, დღეს შენ ჩემს გვერდით
გაიარე, ისევე, როგორც ერთ დღეს იერუსა-
ლიმში, აუზთან, ყველაზე ღატაკი და მარტო-
ხელა ავადმყოფის გვერდით. მხოლოდ შენი
თვალები ხედავენ იმ წყლულებს, მე რომ
მტანჯავენ, მხოლოდ შენი გული, რომელიც
მამა ღმერთის გულთან ერთად ძგერს,
გიბიძგებს, იღო ყურად ხსნის, პატიების,
ახალი ცხოვრების ჩემი მოთხოვნილებანი.
გმადლობ, იესო, რომ აქა ხარ, რომ მხედავ და
გიყვარვარ: უკვე აღარ ვარ მარტო, აღარ მეშინია,
ხელთ აიღე ჩემი ცხოვრება: შენ გესავ.

25 მარტი

უფლის ხარება (დდ)

2009 ოთხშაბათი

ეს. 7, 10-14; ფს. 39; ებრ. 10, 4-10; ლუკ. 1, 26-38 ს თ

შენთანაა უფალი. (ლუკ. 1, 28)

მარიამი მიხვდა, რომ ანგელოსის
მისალმებას ძალზე ღრმა აზრი ჰქონდა:
მისი ხალხი ამ სიტყვებს ხშირად
რაიმე მნიშვნელოვან საქმეში უფლის
თანადგომის დასტურად იშველიებდა.
მართლაც, დიდი იყო მამა ღმერთის მიერ
მარიამისადმი მინდობილი მისია!
ჩვენ, იესოს ეკლესია, რომლის ხატებაცაა
უწმიდესი მარიამი, ყოველ ევქარისტულ
მსახურებაში ვისმენთ ამ სიტყვებს: ის მისიაც,
რომლის მინდობაც სურს მამა ღმერთს
ჩვენთვის, დიდია ცათა სასუფეველში.

26 მარტი

2009 ხუთშაბათი

გამ. 32, 7-14; ფს. 105; იოან. 5, 31-47 IV ი

მამამ მომავლინა. (იოან. 5, 36)

უფალო იესო, მწამს, რომ შენ ხარ ის, ვინც მამამ მოავლინა. შენ არ მატყუებ, ანგარება არ გამოძრავებს: შენ მაძლევ ყველაფერს და მხოლოდ მამა ღმერთის სიყვარულს, სიყვარულს, რომელიც ჩემთვის ჭეშმარიტი და სავსე სიცოცხლეა, დღეს და სამარადისოდ.
მე შენ გირჩევ, ჩემო უფალო იესო, მაშინაც, როცა მესაუბრები ჯვარზე, ჩემი სიცოცხლის შეწირვაზე, იმისათვის, რომ მამა ღმერთის სიყვარული განხორციელდეს...
უფალო იესო, თვინიერო და მხოლოდ სიყვარულით აღსავსევ, შენ ხარ ჩემი უფალი!

27 მარტი

2009 პარასკევი

სიბრძ. 2, 1.12-22; ფს. 33; იოან. 7, 1-2.10.25-30 IV ი

იუდეველნი მოსაკლავად დაეძებდნენ. (იოან. 7, 1)

უფალო იესო, შენს თავში აღმარებდი მამა ღმერ-თის სიყვარულს, უანგარო და გულმოწყალე სიყვარულს; ამიტომაც შეგიძულეს მათ, ვინც მამა ღმერთზე წინ საკუთარ კეთილდღეობასა და დიდებას აყენებდა.

განაახლე ჩვენში, უფალო იესო, ლოცვისა და მოქცევის ამ ყამს, მამა ღმერთისადმი ჩვენი მიმხრობა, რათა არასოდეს გავხდეთ „მკვლე-ლნი“ იმ სიყვარულისა, რომელიც მან ჩვენში და ჩვენს ძმებში დაფარა, არამედ ვიქცეთ მის თვინიერ, ხალისიან „მსახურებად“ მთელი ცხოვრების მანძილზე.

28 მარტი

2009 შაბათი

იერემ. 11, 18-20; ფს. 7; იოან. 7, 40-53 IV ი

არასოდეს კაცს ისე არ ულაპარაკია, როგორც ეს კაცი ლაპარაკობს! (იოან. 7, 46)

დიახ, რადგანაც ,,ეს ადამიანი", იესო, არის არა მხოლოდ ადამიანი, არამედ აგრეთვე ერთადერთი ჭეშმარიტი განკაცებული ღმერთი. ამიტომაც მისი სიტყვები აღემატება სიბრძნესა და სიყვარულს, რომლის უნარიც შეიძლება გააჩნდეს ადამიანთაგან საუკეთესოს. ადამიანი ამბობს: სწორია, რომ ბოროტების ჩამდენი დაისაჯოს. იესო ამბობს: ჩემზე ავიღებ მთელი კაცობრიობის სასჯელს. ადამიანს შეუძლია თქვას: არავის მოექცე ცუდად. იესო ამბობს: დაეხმარე და გიყვარდეს ის, ვინც შენ ცუდად მოგექცა. ადამიანი ამბობს: გეშინოდეს ღმერთისა. იესო ამბობს: მოუხმე მას ,,მამა".

29 მარტი

დიდიმარხვის V კვირადღე

2009

კვირა

იერემ. 31, 31-34; ფს. 50; ებრ. 5, 7-9; იოან. 12, 20-33 I ი

ვინც მე მემსახურება, მას პატივს მიაგებს მამა. (იოან. 12, 26)

იმისათვის, რომ მართლა იესოს ემსახურო და
არა ვინმე ან რამე სხვას, აუცილებელია, გაჰყვე
იესოს: ანუ, იარო მის კვალდაკვალ, გაიარო
იგივე გზა, დააბიჯო იგივე ნაკვალევზე.
ამისათვის კი აუცილებელია ეცადო,
ის თვალთახედვიდან არ დაკარგო,
არ დაშორდე მას, ახლოს დარჩე მასთან;
აუცილებელია, მუდამ მისკენ
გქონდეს მიპყრობილი მზერა.
დღევანდელი ევქარისტული თავშეყრა
სწორედ ამაში დაგვეხმარება.

30 მარტი

2009 ორშაბათი

დან. 13, 1-9.15-17.19-30.33-62; ფს.22; იოან. 8, 1-11 I ი

წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ (იოან. 8, 11)

გუშინ უფალმა მადლი მიბოძა:
მუსულმან ახალგაზრდასთან ძმური საუბრის
დროს, შევძელი მეთქვა მისთვის:
,,ხედავ, რაოდენ დიდია ღმერთისაგან
იესოს მეშვეობით ჩვენთვის მომადლებული
ნიჭები: რწმენა, რომ მისი სახელით
ყოველი ცოდვა მიგვეტევება,
მასთან ერთად მუდამ ახალი,
წმიდა და მშვიდი გზის დაწყების
შესაძლებლობის მადლი''.

31 მარტი

2009 სამშაბათი

რიცხ. 21, 4-9; ფს. 101; იოან. 8, 21-30 I ი

სადაც მივდივარ, თქვენ ვერ მოხვალთ. (იოან. 8, 21)

შენ მამა ღმერთთან ბრუნდები, უფალო იესო:
სიყვარულით აღასრულე მისი ნება
და კვლავ უბრუნდები სამუდამოდ
შენს ადგილს მის გულში.
როდის შევძლებთ, ჩვენც მოვიდეთ
შენთან ერთად მამა ღმერთის გულში?
ყოველთვის, როცა შენ მოგენდობით,
ვიცავთ შენს სიტყვას:
მაშინ ჩვენთვის სამოთხის კარი იღება,
იშლება ჩვენთვის მამა ღმერთის მკლავები.